პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს

გადაწყვეტილება № 15

20 13 წ. "13" 09

ქ.თბილისი

შპს - საქართველოს ზაზა ფანასკერტელის სახელობის სამედიცინო, მრავალდარგოვანი პროფესიული კოლეჯისთვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების შესახებ

დაწესებულების მიერ თვითშეფასების ანგარიშში ასახული ინფორმაციის, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნებისა და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" 30[1] მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად,

საბჭომ გადაწყვიტა:

1. შპს - საქართველოს ზაზა ფანასკერტელის სახელობის სამედიცინო, მრავალდარგოვან პროფესიულ კოლეჯს (საიდენტიფიკაციო კოდი: 202066405) მიენიჭოს უფლებამოსილება დამატებით განახორციელოს შემდეგი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები:

№	პროგრამის დასახელება	პროფესიული განათლების საფეხური	მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაცია	კრედიტების რაოდენობა
1	გიდი / ადგილობრივი გიდი (ობიექტის, ქალაქის, რაიონის)	მესამე	გიდის / ადგილობრივი გიდის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია	60
2	ოფისის მენეჯერი (მდივან-რეფერენტი)	მესამე	ოფისის მენეჯერის (მდივან-რეფერენტის) მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია	60

3	საბაჟო წარმომადგენელი (სასაქონლო ოპერაციების სპეციალისტი)	მესამე	საბაჟო წარმომადგენლის (სასაქონლო ოპერაციების სპეციალისტის) მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია	60

2. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2013 წლის 13 სექტემბრის №3 სხდომის ოქმის მე-9 ნაწილი ცნობილ იქნეს ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად.

3. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილების გასაჩივრება შესაძლებელია მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში სარჩელის შეტანის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი, №6.

თავმჯდომარე
ქეთევან ჯაყელი

მდივანი
ლალი ღოღელიანი